საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/68 " 11 " ივლისი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით მიღებაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა 2022 წლის 1 ივლისის 30 ივნისის №06-5749 წერილით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. წერილში აღნიშნულია, რომ საერთო სასამართლოების დეპარტამენტში შესულია ახალქალაქის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის წერილი, რომლის თანახმადაც სასამართლოს შენობის ფართი არასაკმარისია საქმიანობის ნორმალურად წარმართვისათვის და შემოთავაზებულია, რომ სასამართლოს გადაეცეს სასამართლოს შენობის პირველ სართულზე მდებარე სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილი 159 კვ.მ. ფართი (ახალქალაქი, მ. მაშტოცის 102, საკადასტრო კოდი: №63.18.33.383).

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან საერთო სასამართლოების დეპარტამენტის კომუნიკაციის შედეგად გაირკვა, რომ უნივერსიტეტი თანახმაა კუთვნილი ფართის სახელმწიფოს სასარგებლოდ დასათმობად შესაბამისი ეკვივალენტური ფართის გადაცემის შემთხვევაში. საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ მოძიებულ იქნა ქ. ახალციხეში, თამარ მეფის ქუჩა №44-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე მდებარე თავისუფალი 258,28 კვ.მ. ფართი (საკადასტრო კოდი: №63.18.32.544.01.501), რომელიც მისაღებია უნივერსიტეტისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, საერთო სასამართლოების დეპარტამენტი ითხოვს თანხმობის მიცემას მითითებული ქონების გაცვლის და შემდგომ დეპარტამენტის სარგებლობაში გადმოსაცემად საჭირო ღონისძიებების განხორციელებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები ზემოაღნიშნული ქონების გაცვლის შედეგად მისი სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის არსებობის ვადით, უსასყიდლოდ, სარგებლობაში გადმოცემისთვის.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი